ხვალ იხსნება საქართველოს სპორტკავშირის II კონფერენცია
სალამი კონფერენციის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფიზკულტურა

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 10-20 ფურცელი.

№ 96 (2459) • კვირა, 17 მაისი, 1964 წ. • ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსნობას — ფართო სარგებელი!

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია ცხენოსნობაში საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელს რ. მანჯავიძეს და თხოვა ეამბნა, თუ რა შეჯიბრებებია დაგეგმილი უახლოეს ხანში, როგორია მათში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობის საქმე. აი, რა გვიამბო მან:

— მაისის ბოლოს, თბილისში გაიმართება „ქალაქის პირადი პირველობა ჭაბუკთა შორის. მასში მონაწილეობას მიიღებენ 16-17 წლის ასაკის ცხენოსნები. ივნისის ბოლოს გაიმართება რესპუბლიკის პირადგუნდური პირველობა ამავე ასაკის ჭაბუკთა შორის. აქ გამოვლენ რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები. პროგრამა ითვალისწინებს საკავშირო შეჯიბრებათა მოცულობას, ამასთან ერთად, დამატებით ჩატარდება მარული (3 კმ) და სადა დოღი (2 კმ). ამის შემდგომ შეირჩევა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავს მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე ქ. კოსტრომაში.

არანაკლებ დაძაბული და საინტერესო იქნება მიმდინარე სპორტული სეზონი სოფლის სპორტსმენებისთვის. ივლისში თბილისში გაიმართება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა. შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდება „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდი, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ასპარეზობის მოწყობა განზრახულია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი დიდი მასშტაბის საკავშირო შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში საქართველოში პირველად ტარდება.

თბილისში განსაკუთრებით „ზემოსავლიანი“ იქნება სექტემბერი. სექტემბრის მეორე ნახევარში აქ გაიმართება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოძმე სომხეთის მხედრებიც, (მათი შედეგები სამატჩო შეხვედრის ჩათვლაში შევა).

დიდი სპორტული ზეიმის სახე ექნება მე-7 საკავშირო დღესასწაულს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და ცხენსაშენი ქარხნების მონაწილეობით. ამ ასპარეზობის თავისებურება ამაში მდგომარეობს, რომ მასში ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის მხედრები თავიანთ ოსტატობას გამოავლენენ ამ წარმტაცი სპორტის ეროვნულ სახეობებში.

სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისის იპოდრომზე პირველად გაიმართება ჩორთმავალი და დოღის ცხენების შეჯიბრება. ამისთვის იპოდრომის სარბენი ბილიკი სპეციალურად დამონტაჟდა.

... ...

ხვალ გაიხსნება საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი ფორუმი — სპორტსაზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის II რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც შეაჯამებს 1959-1963 წლების პერიოდში ჩატარებული მუშაობის შედეგებს და დასახავს ახალ, თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებთან შესატყვის პერსპექტივებს.

დიდი და სასახელო იყო პერიოდი, რომელსაც განიხილავს II რესპუბლიკური კონფერენცია. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ამ წლებშიც მხარდამხარ მიყვებოდა ჩვენი საზოგადოების ძლევამოსილ განვითარებას. განვლილი პერიოდი აღსავსე იყო სასიქადულო გამარჯვებებით ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის, სპორტული ოსტატობისა და მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლებისთვის ბრძოლის გზაზე. იყო ცალკეული ხარვეზებიც ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების საქმიანობაში. სწორედ ამ მიღწევა-ნაკლოვანებებზე იმსჯელებს ხვალ კონფერენცია და მათი განხილვისა და ანალიზის გზით დასახავს მომავლის საბრძოლო გეგმას იმ მაღალ, კეთილშობილურ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებსაც ჩვენს წინაშე აყენებს დღეს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიადი პროცესი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტები ეწვივნენ კონფერენციის ცალკეულ დელეგატებს და მიმართეს მათ კითხვებით: რით ხვდებით რესპუბლიკის ფიზკულტურელ-სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმს? რა პერსპექტივებს სახავთ თქვენს მომავალ მუშაობაში?

ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე დელეგატის პასუხს.

... ...

ანთიმოზ როგავა,

ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

შრომა და სპორტი ჩვენთვის, ხეცერელი მშრომელებისთვის განუყოფელ მცნებას წარმოადგენს. ალბათ ამიტომაა, რომ ხეცერელები შრომისგან თავისუფალი დროის დიდ ნაწილს სპორტულ ვარჯიშსა და შეჯიბრებებს ანდომებენ. მოედანზე წვრთნით გახალისებული, ასპარეზობაში ახალი გამარჯვებით ფრთაშესხმული ახალგაზრდობა მეტი ენერგიითა და გულმოდგინებით გადის პლანტაციაში სამუშაოდ და სწორედ ამიტომაა, რომ შრომის ნაყოფი უფრო მეტად ბარაქიანი და სიხარულის მომგვრელია ხოლმე.

ხეცერელები სამდურავს ვერ იტყვიან იმაზე, რომ მათ არ გააჩნიათ სპორტული ბაზები. სპორტული ვარჯიშისა და დასვენებისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი. და ეს ყველაფერი მშრომელთა ხელითაა გაკეთებული. წელს, გაზაფხულის დადგომისთანავე კეთილმოწყობილი იქნა სტადიონი და სხვა სპორტული მოედნები, ზამთრის პერიოდში კი ერთგვარად მიყუჩებული სპორტული საქმიანობა ახალი ძალით ახმიანდა. ჩაის მკრეფავები — ფეხბურთელი ვ. ყალიჩავა, კალათბურთელი ო. ლატარია, ფრენბურთელი ო. ახალაია, ცხენოსანი ა. შონია და სხვები როგორც შრომაში, ისე სპორტში მოწინავეთა რიგებში არიან.

კონფერენციის დელეგატებს, სპორტის მოყვარულებს ერთი საიდუმლოც მინდა გავანდო, უფრო სწორად, პირობა მივცე. საქმე იმაშია, რომ ადრე ჩვენს მეურნეობაში საწარმოო ტანვარჯიშის მოწყობისა და ორგანიზაციის საქმე კარგად არ იყო დაყენებული. ახლა ამ საქმეს მთელი სერიოზულობით მოვეკიდეთ, დავიწყეთ მშრომელთა შორის მისი ფართოდ დანერგვა. ამაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ქობულეთში მოწყობილი საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სემინარი. ამ სემინარზე ხეცერიდან 5 კაცი ესწრება, რომლებიც გარკვეული ინსტრუქტაჟის შემდეგ სათავეში ჩაუდგებიან ფრიად სასარგებლო საქმის მოწყობა-ორგანიზებას.

... ...

გივი კარტოზია,

ბსოფლიოს სამგზის ჩემპიონი

მოხდა ისე, რომ მე უკვე „ძველ გვარდიაში“ გადავსახლდი. დრომ თავისი გაიტანა და აღარ ძალმიძს სპორტსმენისათვის ესოდენ ნაცნობი ყრუანტელით გამოვიდე საჭიდაო ხალიჩაზე, საკუთარი, უშუალო წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის სპორტული დიდების დაცვაში.

ზუსტად ასეთივე მდგომარეობაშია ჩემივე მეგობარი და კოლეგა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე. და აი, ისევე როგორც ადრინდელ წლებში, როცა ერთად ვიცავდით საქართველოსა და საბჭოთა სპორტის ღირსებას, ახლაც ჩვენ ყველაზე უკეთ გვესმის ერთმანეთის სიხარულიც და გულისტკივილიც. და ჩვენ, ორივენი მივდით დასკვნამდე: სპორტს მაინც ვერ დავანებებთ თავს!

მართალია, ჩვენ უკვე მივაშურეთ საკუთარ სპეციალობებს, ჩვენებით საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის ფერხულში, მაგრამ ეს გარემოება როდი შეგვიშლის ხელს სპორტსმენთა ახალ თაობებს გადავცეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება. მაშ ასე, გზა გარკვეულია: მუშაობისაგან თავისუფალ დროს კვლავ დავუბრუნდებით საჭიდაო ასპარეზს იმ იმედით, რომ ჩვენი საკუთარი „მე“ ხელახლა ვიხილოთ ჩვენივე აღსაზრდელების — ნორჩი სპორტსმენების „ხელწერაში“!..

სწორედ ამ პატაკით მინდა შევხვდე სპორტკავშირის II რესპუბლიკურ კონფერენციას.

... ...

გიორგი მერკვილაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტის გამგე

ყველასთვის ცნობილია, რომ საშუალო სკოლა მუდამ იყო და რჩება სპორტული მუშაობის საფუძვლად. ბავშვს თუ თავიდანვე არ ჩაუნერგე ფიზკულტურისადმი სიყვარული და სწრაფვა, შემდგომში ჩამოყალიბებული სპორტსმენის აღზრდა თითქმის შეუძლებელი ხდება. აი, ამ მეტად საპატიო და სათუთი საქმისაკენ ვართ მოწოდებული განათლების ორგანოების მუშაკები.

ჯანსაღი ახალგაზრდობის აღზრდის სადარაჯოზე რესპუბლიკის ათასობით მასწავლებელი, მწვრთნელი და ფიზიკური კულტურის დარგის მუშაკი დგას. შედეგიც კარგი გვაქვს. თუ გადავხედავთ საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენების მიღწევათა უბრალო ნუსხას, დავინახავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ალამის უფროს მებაირახტრეებთან ერთად ისინიც მტკიცედ მიაბიჯებდნენ წინ და არ სცემდნენ ძირს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

ზეიმის დროს ჩვეულებრივ წარმატებებზე ლაპარაკობენ ხოლმე, მაგრამ თვალს ვერ დავხუჭავთ იმ ნაკლოვან მხარეებზეც, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს მოზარდი თაობის აღზრდაში. ჩვენს მუშაობაში არსებულ ხარვეზთა გამოსწორებაში დიდი დახმარება უნდა გაგვიწიოს მოსწავლეთა მომავალი საკავშირო ზონალური სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების დღეებში ჩახატარებელმა მუშაობამ. ამ უახლოეს ეტაპზე ჩვენი მთავარი საზრუნავი სწორედ ეს არის.

19 მაისს, 16 საათზე

გაიხსნება

საქართველოს სპორტკავშირის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციების

გაერთიანებული პლენუმი

პლენუმი გაიმართება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის განყოფილების ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35).

უკანასკნელ საათს...

მოსკოვი. როგორც ცნობილია, ურუგვაის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდი 20 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებს. 14 მაისს ურუგვაელები ვენაში შეხვდნენ ავსტრიის გუნდს. ავსტრიელები იმ შემადგენლობით თამაშობდნენ, რომელმაც ამას წინათ უნგრეთის ნაკრებთან მატჩში მათ გამარჯვება მოუტანა (1:0).

თამაში ურუგვაელთა უპირატესობით აღინიშნა და მათი გამარჯვებით დაგვირგვინდა — 2:0.

20 მაისის მატჩმა განსაკუთრებით უნდა დაინტერესოს თბილისისა და კიევის ფეხბურთის მოყვარულნი. ამ დღეს ურუგვაელთა წინააღმდეგ საბჭოთა ნაკრები სწორედ ამ ორი ქალაქის დინამოელებით იქნება დაკომპლექტებული: თბილისის „დინამოდან“ ითამაშებს 6 ფეხბურთელი, კიევის „დინამოდან“ — 5.

მოსკოვი. ვ. ლიპსნისმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ბირთვის კვრაში. მისი შედეგი — 19,23 მეტრი 19 სანტიმეტრით აღემატება ძველ რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ერფურტი. მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის VII ეტაპი ლაიფციგი—ერფურტი (162 კმ) მოიგო რბოლის ლიდერმა, ჩეხოსლოვაკელმა ი. სმოლიკმა. პირველ ხუთეულში იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები კაპიტონოვი და კულიბინი. საბჭოთა გუნდმა ამ ეტაპზე IV ადგილი დაიკავა და საერთო გუნდურ ჩათვლაში VII ადგილიდან მეექვსეზე გადაინაცვლა.

მოსკოვი. ლენინის სახ. ცენტრალურ სტადიონზე ცსკა-ს ფეხბურთელებმა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს „ედნოტა“ (ჩეხოსლოვაკია) — 1:0.

ლაბტი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და ფინეთის კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები გუნდების მესამე შეხვედრა. უპირატესობა ამჯერადაც ჩვენი სპორტსმენების მხარეზე იყო, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება — 81 : 62 (43 : 26).



სურათზე: ერთ-ერთი დაძაბული მომენტი 13 მაისის მატჩიდან ევროპის თასზე შვეციისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა გუნდის მცველმა ა. კორნეევმა უკანასკნელ მომენტში მიუსწრო შვედების ცენტრალურ ფორვარდს ჰ. ბილდს და აართვა ბურთი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სიცრუეს ფარდა აეხადა

ამ დღეებში თბილისში ჩატარდა დედაქალაქის ახალგაზრდა მძლეოსანთა (1943-44-45 წლებში დაბადებულნი) პირად-გუნდური შეჯიბრება გაზეთ „თბილისის" პრიზზე. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთა მომავალი ცვლის ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებდა ყველა უმაღლესი სასწავლებლის, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების საუკეთესო სპორტსმენები. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლის სურვილი მხოლოდ ფიზკულტურის, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კოლექტივებმა გამოთქვეს. სახელმწიფო უნივერსიტეტიც კი მხოლოდ ზოგიერთი სახეობის პირად პირველობაზე სპორტსმენთა გამოყვანით დაკმაყოფილდა.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ დედაქალაქში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა ახალგაზრდა მძლეოსნებთან რეგულარულ ვარჯიშს, მათი შედეგების ამაღლებისათვის ბრძოლას. მხოლოდ სამი პირველი თანრიგისა და 23 მეორე თანრიგის შედეგი იქნა ნაჩვენები შეჯიბრებისას.

უფრო მეტიც. მთელ რიგ სახეობებში იმდენად მცირე იყო მონაწილეთა რაოდენობა, რომ ისინი ყოველგვარი მაჩვენებლებით ისაკუთრებდნენ საპრიზო ადგილებს. მაგალითად, ქალიშვილებს შორის 100 მეტრზე რბენის სტარტზე გამოვიდა მხოლოდ 1 სპორტსმენი, 400 და 600 მეტრზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში — 2-2, 80 მეტრზე თარჯრბენში, სიგრძეზე ხტომასა და ბადროს ტყორცნაში — 3-3. ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ჭაბუკთა შორისაც. აქ 400-მეტრიან დისტანციაზე ძალებს ცდიდა მხოლოდ 2 მძლეოსანი, 110 მეტრზე თარჯრბენში, 800 მეტრზე რბენაში, სამხტომსა და ათჭიდში — 3-3.

შეჯიბრების მსვლელობაში მსაჯთა კოლეგიამ ფარდა ასადა ერთ მეტად არასასიამოვნო მოვლენას — გუნდურ ჩათვლაში არასწორი გზით, მოტყუებით გამარჯვების ცდის ფაქტს. სამარცხვინოა, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტის მესვეურებმა გუნდი გააძლიერეს ამ შეჯიბრებისთვის შეუფერებელი სპორტსმენებით, კერძოდ, ასაკგადაცილებული მძლეოსნებით. ესენი არიან ა. ფომინა, რომელმაც ყველაზე კარგი შედეგები აჩვენა ქალიშვილებს შორის 200 მეტრზე რბენასა და ხუთჭიდში, ი. ბეალავა, რომელმაც გაიმარჯვა 800 და 1500 მეტრზე რბენაში ჭაბუკთა შორის და, რაც მთავარია, გუნდში შეაპარეს არმიელი ე. შაბანოვი (სამხტომში I ადგილი — 13,95 მ). მსაჯთა კოლეგიამ, ცხადია, გააუქმა მათი შედეგები, სპორტსმენები ტურნირიდან მოხსნა, რამაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტს საერთო პირველი ადგილი დააკარგვინა. გამარჯვება საკუთარი ძალებით დაისაკუთრა პატიოსნად მებრძოლმა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

ზემომოყვანილი ფაქტები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ ჩვენი მძლეოსნებისა და მათი აღმზრდელების საქმიანობას, განსაკუთრებით საგანგაშოა წელს, რადგან მიმდინარე სეზონში პირველად ტარდება ახალგაზრდა მძლეოსნების საკავშირო შეჯიბრება. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ასპარეზობისთვის კი არც თუ ისე ენერგიულად ემზადებიან.

ო. გელაშვილი



„ციხკარას" ფერდობებზე

ეს სურათები რამდენიმე დღის წინაა გადაღებული. გადაღებულია საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო თბილი პუნქტის — ბათუმის მახლობლად. აქ, მთა „ციხკარაზე", 40 სანტიმეტრის სიმაღლის თოვლის საბურველი დახვდათ გასულ კვირას ტურისტული შეკრების მონაწილეებს, რომლებიც ჩაებნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სისტემის ფიზკულტურის კოლექტივებს შორის ფინალურ ასპარეზობაში.

შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა თხილამურებით რბენა 3 კილომეტრზე, მძლეოსნური კროსი, ციცაბო აღმართის დაძლევა, დაბანაკება, კოცონის ანთება და წყლის ადუღება. ფინალში მონაწილეობდა 12 გუნდი, რომლებშიც წარმოდგენილი იყო საწარმოთა 150-მდე მუშა-მოსამსახურე. პირველივე სახეობიდან დაწინაურდნენ ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ტურისტები, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს ლიდერობა და დაიკავეს პირველი ადგილი.

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია სწორედ ტურისტულ შეკრებაში გამარჯვებული კოლექტივი დაბანაკებისა და წყლის ადუღების მომენტში, ხოლო მარცხენა სურათზე — კოფეინის ქარხნის მეაპარატე უ. ოლეინიკი და ბათუმის ნავსადგურის მეზღვაური ნ. ჭიჭინაძე თხილამურებით რბენაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

ფოტო და ტექსტი პ. ქებაბჩიანისა.

„კოსმოსური სიჩქარით"

თბილისის სპორტკავშირის კორტებზე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ჩოგბურთელთა საქალაქო პირველობა. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ერთეულებს შორის. უკვე გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები.

ქალთა პირველ ნახევარფინალურ წყვილში ძალთა თანაფარდობა აშკარად შეუსაბამო იყო. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის ი. ერმოლოვას წინააღმდეგ გამოდიოდა ს. რუხაძე. ამ უკანასკნელმა „კოსმოსური სიჩქარით" დათმო პარტია— 2:6, 1:6.

შედარებით დაძაბული ბრძოლა ჰქონდა მეორე ნახევარფინალურ წყვილს — რ. აბჟანდაძესა და ნ. თუხარელს. აქ გამარჯვების სასწორი გადაიხარა აბჟანდაძის მხარეს, რომელმაც ორი პარტიის მოგებით (6:3, 6:4) ფინალში გასვლა გაიღიდა.

ისევე, როგორც თბილისის საგაზაფხულო პირველობაზე, ნახევარფინალში გავიდნენ ძმები ნ. და ლ. მძინარიშვილები. ფინალში გასვლა იოლად მოახერხა უმცროსმა ძმამ — ნუგზარმა, რომელმაც ნახევარფინალში „იმსხვერპლა" ა. ვერულავა — 6:3, 6:2, 6:2. უფროსმა ძმამ — ლეონიდმა კი წაგო შეხვედრა გ. ახალაძესთან — 5:7, 1:6, 4:6, სწორედ იმასთან, რომელმაც საგაზაფხულო შეჯიბრებაზე დაამარცხა მისი ძმა ნუგზარი.

შეჯიბრება გრძელდება. წინ ფინალებია...

ოთხი ფინალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში დამთავრდა სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული წინასწარი შეჯიბრება კალათბურთში უმაღლესი სასწავლებლების ქალთა გუნდებს შორის. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ოთხმა კოლექტივმა — საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სოხუმისა და გორის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა. ზემოჩამოთვლილი გუნდების გარდა კონკურსგარეშე გამოდის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

გაიმართა პირველი ფინალური მატჩები. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა დაამარცხა გორის პედინსტიტუტის გუნდი — 73:32 (34:16). თბილისის სპორტსმენთა უმნიშვნელო უპირატესობით აღინიშნა მეორე შეხვედრა უნივერსიტეტისა და სოხუმის პედინსტიტუტის კალათბურთელთა შორის. მატჩის შედეგია 52:49 (25:16).

22 მაისს დაიწყება ვაჟთა გუნდების ფინალური ტურნირი.

თამაშები

მუშა-სპორტსმენები — ნაკრებში

სოხუმი: აქ დამთავრდა „განთიადის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც თავი გამოიჩინეს ტყვარჩელის მუშა-სპორტსმენებმა ო. ჯობავამ, ა. თოფჩიანმა, ვ. ადლეიბამ და ბ. ჭოლოკუამ. ისინი მეორე საპრიზო ადგილზე გამოსულ მეშახტეებთან ზ. ტუხბასთან და ბ. გვარამიასთან ერთად შეყვანილ იქნენ აფხაზეთის „განთიადის" ნაკრებ გუნდში.

ვ. ჯღარკავა

ჭაბუკთა შეჯრის

ჩატარდა ქობულეთის რაიონის „კოლმეურნის" პირადი პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს ი. ბერიძემ, დ. ფუტკარაძემ და ი. მაზმანიდმ.

ლ. ტრაპაიძე

სკოლა ასახელეს

წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩის საშუალო სკოლაში უყვართ სპორტი. ნორჩ სპორტსმენებს აქვთ ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საჭადრაკო ინვენტარი და სხვ. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული სექციებში და წარმატებით მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში. ამას წინათ მოსწავლეთა საგაზაფხულო სპარტაკიადაში თავი ისახელეს დერჩელმა მოჭადრაკეებმა და ფრენბურთელებმა.

მოჭადრაკეთა ზონალურ პირველობაში, რომელიც სოფ. ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში მოეწყო, დერჩელმა მოჭადრაკეებმა — ქირონდი, ვალერი და ჟორეს ბანძელაძეებმა პირველი ადგილი დაიკავეს, რითაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ამას წინათ კი წყალტუბოს რაიონის კულტურის სახლში გაიმართა ფინალისტთა ტურნირი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ სოფლების გეგუთის, მაღლაკის, მუხურის, დერჩისა და ოფურჩხეთის საშუალო სკოლების მოჭადრაკეთა გუნდები. დერჩელმა მოჭადრაკეებმა ძნელი ტურნირი წარმატებით განვლეს და მეორე ადგილი დაიკავეს.

ზონალურ ტურნირში თავი ისახელეს აგრეთვე დერჩელმა ფრენბურთელებმა. ისინი პირველობაში მეტოქეობას უწევდნენ სოფლების დღნორისის, რიონისა და ოფურჩხეთის საშუალო სკოლების ნაკრებ გუნდებს. დერჩელებმა პირველობა ოფურჩხეთელებს დაუთმეს, მეორე ადგილზე გავიდნენ და მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

ტ. ასათიანი

სოფ. დერჩი,
წყალტუბოს რაიონი.

... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგი ტურის წინ

„ა“ კლასი

წლევანდელი საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა — პირველი მატჩი ევროპის თასზე შვეიცის ნაკრებთან — განვლილია. დღის წესრიგში დადგა მორიგი კალენდარული ტური სსრ კავშირის პირველობაზე.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შესახებ. როგორც თბილისის „დინამოს“, ისე ქუთაისის „ტორპედოს“, აქვთ განვლილი მატჩები ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან, როგორებიცაა „შახტიორი“ (დონეცკი) და სკა (როსტოვი).

„შახტიორი“ წელს განსაკუთრებული აღმავლობით თამაშობს. გუნდი სადღეისოდ 10 ქულით მე-4 ადგილზე იმყოფება, მაგრამ მას ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და ამდენად, თავისი პოტენციური შესაძლებლობებით უტოლდება ლიდერს — თბილისის „დინამოს“. ყურადღებას იპყრობს „შახტიორის“ დაცვისა და მეკარეების საიმედო თამაში: მათ 8 შეხვედრაში სულ 3 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. მატჩი „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) ყველაზე საინტერესოა X ტურში.

როსტოვის არმიელთა გუნდსა და ქუთაისის „ტორპედოს“, ერთის შეხედვით, ძალზე განსხვავებული ადგილები უკავიათ გათამაშების ცხრილში, მაგრამ მთელი ეს სხვაობა სულ 2 ქულაში გამოიხატება. საკმარისია ქუთაისელებმა დაამარცხონ მოწინააღმდეგე და ორივე გუნდს ერთნაირი მაჩვენებელი ექნება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატებში როსტოვისა და ქუთაისის გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ სულ ორჯერ. ეს იყო შარშან. ერთი მატჩი მოიგეს არმიელებმა (2:1), ერთი დამთავრდა ფრედ (1:1).

დიდ ინტერესს იწვევს მატჩი მინსკში ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის.

მოსკოვის დინამოელები საკუთარ მინდორზე ეთამაშებიან „ა“ კლასის პირველი ჯგუფის დებიუტანტს — ქ. გორკის „ვოლგას“. მოსკოვის „სპარტაკს“ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდება იაროსლავლში, სადაც ადგილობრივ „შინიკს“ შეხვდება. მასპინძლები გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფებიან და, ცხადია, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გამოისწორონ არასახარბიელო მდგომარეობა.

დანარჩენ შეხვედრათა კალენდარი X ტურში ასეთია: „კრილია სოვეტოვი“ — „ზენიტი“, „ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (კიევი), „კაირატი“ — „მოლდოვა“.

ნაკრების 4 კანდიდატი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხელბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო პლენუმი, რომელმაც იმსჯელა განვლილ მუშაობაზე და აირჩია ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა 15 კაცის რაოდენობით.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. რაკიტინი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად — ნ. სუსლოვი.

პლენუმის შემდეგ შეიკრიბა საკავშირო ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო, რომელმაც შეადგინა ჩვენი ქვეყნის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების კანდიდატთა სია.

როგორც ცნობილია, შარშანდელი ნაკრების შემადგენლობაში საქართველოდან იყვნენ ჯემალ აბაიშვილი და ჯემალ ცერცვაძე.

ამჯერად მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა ნაკრების კანდიდატთა სიაში შეიყვანოს კიდევ ორი ქართველი ხელბურთელი — იმედო ფხაკაძე და ანზორ ექსეულიძე.

დიდი ტურნირის „ეკვატორთან“

ხოხუმის ქალთა საერთაშორისო საშაქმატო ტურნირის მონაწილეებმა მართალია ერთად აიღეს სტარტი, მაგრამ დღეისათვის ისინი სხვადასხვა მანძილით არიან ერთმანეთს დაცილებული. ყველამ ვერ გამოიჩინა საჭირო ძალა და მომზადება. ამიტომ ხუთი ტურის შემდეგ ისინი, ასე ვთქვათ, სამ ჯგუფად გაიყვნენ. პირველში, $4^1/_2$ ქულით, მხოლოდ ნ. გაფრინდაშვილია, რომელიც გაბედულად მიიწევს წინ. მეორეში არის ყველა დანარჩენი ოსტატი (მათი „მოსავალია“ 2-დან 3 ქულამდე), მესამეში კი — პირველთანრიგოსნები ნ. ალექსანდრია, გ. ბუცხრიკიძე და ლ. ბელავენეცი ($1^1/_2$ ქულა თვითეულს).

მსოფლიო ჩემპიონი სათავეში რომ მოექცა მოჭადრაკეთა ლაშქრობას, ამაში არაფერია გასაკვირი. ბოლო წლებში კიდევ უფრო დაიხვეწა მისი ოსტატობა, ამაღლდა უპირატესობის რეალიზაციის ტექნიკა, გაფართოვდა სადებიუტო რეპერტუარი, და ყველაფერი ეს მოხდა ოსტატ ვაეებთან ჭიდილში. ბუნებრივია, რომ კოლეგა ქალებთან ბრძოლაში იგი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

აი, მსოფლიო ჩემპიონის თამაშისთვის დამახასიათებელი პარტია.

გაფრინდაშვილი — ჩაიკოვსკაია

1. e4 c5 2. ∎f3 ∎c6 3. d4 cd 4. ∎:d4 e6 5. ∎c3 ♘c7 6. g3 a6 7. ♗g2 b5 8. 0—0 ♗b7 9. ♕e1 d6 (სიცილიური დაცვის ეს ვარიანტი ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას ხშირად მიმართავს ჩაიკოვსკაიაც. ამიტომ გასაკვირია, რომ მან აქ არ ითამაშა 9... ♗e7. ახლა მსოფლიო ჩემპიონი გონებამახვილურად ეუფლება ინიციატივას.) 10. a4 b4 11. ∎d5.

ა. ჩაიკოვსკაია



ნ. გაფრინდაშვილი

ამის შემდეგ შავები ვეღარ ასწრებენ მეფის ფრთის ფიგურების მობილიზებას. საინტერესოა, თუ როგორ იყენებს გაფრინდაშვილი ამ დროებით უპირატესობას გამარჯვების მისაღწევად.

11.... ♘a5 (თუ 11... ed, მაშინ 12. ∎:c6 ♗:c6 13. ed+ ადვილი მოგებით) 12. ∎c6 ♗:c6 13. ♗d2 ♗b8 14. c3 b3 (14... bc 15. ♗:c3 შემდეგ თეთრები კიდევ უფრო აქტიური ხდებოდნენ) 15. c4 ♘d8 16. a5 ♗e7 17. ∎b6 ♘c7 18. ♗c3 ♗f6 19. ♘:b3 ♘b7 20. ♕ad1 ♕d8 21. c5.

აი, დიდი მოჭადრაკის ხელწერა. მსოფლიო ჩემპიონი უკან აბრუნებს ზედმეტ პაიკს, რათა მთლიანად დაარღვიოს შავების პოზიცია.

21... dc 22. ♕:d8+ ♔:d8 23. ♘c4 ♗:c3 24. ♘:c3 f6 25. ♘:c5 (გაფრინდაშვილი კვლავ იგებს პაიკს. შავმა მეფემ კი ვერ ნახა მოსვენება) 25.... ∎e7 26. ♘d6+ ♔e8 27. ♘:e6 ♗f8 28. ♕d1 ♕f7 29. ∎c4 და ჩაიკოვსკაია დანებდა.

(დასასრული მე-4 გვ.)

10-ქულიანი სხვაობით

საბჭოთა და საფრანგეთის ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეხვედრის პირველი დღის შემდეგ, როდესაც დამთავრდა ასპარეზობა ნებისმიერი ვარჯიშების პროგრამით, სპორტსმენები პარიზიდან გაემგზავრნენ საფრანგეთის პატარა ქალაქ მონსო-ლე-მინში. აქ გაიმართა შეჯიბრება სავალდებულო პროგრამაში.

ამჯერადაც საბჭოთა ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო. ჩვენმა გუნდმა მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით — 383,10: 373,60.

ვეტერანი 50 წლისაა

დიდი ხნის წინ იყო ეს. 1928 წელს. ბორჯომის ქუჩაზე მდებარე № 6 სახლში დილიდან დაღამებამდე თამაშობდნენ ბიჭები ფეხბურთს. მართალია, მაშინ თბილისში, ცოტა არ იყოს, ჰირდა ბურთის შოვნა, მაგრამ „ბორჯომელები“ ბოლომდე ერთგულნი იყვნენ თავიანთი ტრფობის საგნისა: იკლებდნენ ყველაფერს, რის ვაინაჩრობით აგროვებდნენ ფულს და ბურთს მაინც ყიდულობდნენ.

და აი, ბორჯომის ქუჩაზე მდებარე № 6 სახლში მიმდინარეობდა მორიგი „კალენდარული“ მატჩი. ოფლში გაწურულ ბიჭებს მიუახლოვდა საშუალო ტანის, თმაგრუზა ახალგაზრდა კაცი, ჩამოჯდა იქვე და ყურადღებით შეუდგა თვალისდევნებას. შემდეგ როცა თამაში გათავდა, მან მოიხმო ბიჭები, ერთერთ მათგანს მხარზე ხელი დაადო და გვარი ჰკითხა.

— მიშა ვარ, ბერძენიშვილი, — იყო პასუხი.

— ხვალ მოდით ყველანი „დინამოს“ სტადიონზე და ანდრო ყორდანიას იკითხეთ, ნამდვილ გუნდში გათამაშებთ.

ასე დაიწყო ქართული ფეხბურთის შესანიშნავი წარმომადგენლის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ბერძენიშვილის გზა დიდ ფეხბურთში. ანდრო ყორდანიას არ გამოეპარა ჭაბუკის ალღო და მახვილგონიერება ბურთის გადაცემისას, მისი რბილი და მოფიქრებული თამაში, პოზიციის გაგების უნარი. მიშა ბერძენიშვილისა და მისი მეგობრების გუნდს ჯერ „დინამო“ IV ეწოდა, რომელიც თანდათან იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, მიიწევდა ზევით და რამდენიმე წლის შემდეგ დინამოელთა პირველი კოლექტივი ერთერთ უძლიერესად იქცა ამიერკავკასიაში. მ. ბერძენიშვილი, შ. შავგულიძე, ა. დოროხოვი, ნ. ანიკინი, მ. ასლამაზოვი, ბ. ბერძენიშვილი (უფროსი ძმა მიშასი) და სხვანი, მხარში ამოუდგნენ უფროსებს და საფუძველი შეუქმნეს გუნდს, რომელმაც შემდგომში დამსახურებულად ჰპოვა საერთაშორისო აღიარება.

სწორედ მ. ბერძენიშვილის თაობა იყო, რომლის ხელშიც გამოიჭედა საქართველოს საუკეთესო გუნდის — თბილისის „დინამოს“ სახელოვანი კოლექტივი. საუცხოო შუამარბი, შემდგომში კი ნახევარმცველი მ. ბერძენიშვილი, ამ კოლექტივის ერთ-ერთი ფუძისჩამყარელი იყო და 1947 წლამდე თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში. თამაშობდა ისეთივე გატაცებითა და ერთგულებით, როგორც ოდესღაც ბორჯომის ქუჩის ეზოში. უბადლო პენალისტის სახელის გაგონებაზე უძლიერეს მეკარეებსაც კი უსიამოვნო ჟრუანტელი უვლიდათ ტანში. ბევრ მათგანს ახსოვდა თავისი ნახტომი კარის ერთ კუთხეში, როცა ბურთი მოწინააღმდეგე მხარეს გადიოდა ბადისაკენ.

ეს სურათი წარსულს ეკუთვნის. 1936 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამო“ მოსკოვს ჩავიდა, როგორც უძლიერესი ლიგის ღირსეული წევრი და საუკეთესო თამაში აჩვენა იქაურ მაყურებელს. თბილისელებმა დაამარცხეს ადგილობრივი „სპარტაკი“ (1:0) და ფრედ ითამაშეს მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:1.

სურათზე აღბეჭდილია მატჩი მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივ და თბილისის დინამოელთა შორის. თბილისელთა მარჯვენა შუამარბი მიხეილ ბერძენიშვილი გავიდა მოწინააღმდეგე მცველებს შორის და მეკარე ა. კვასნიკოვის პირისპირ აღმოჩნდა.

ბ. ქორქია

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი თბილისის „დინამოს“ მოთამაშის ვ. ბარქაიას შესახებ, რომელიც მოედნიდან გაძევებულ იქნა კიშინიოვის „მოლდოვასთან“ მატჩში უხეში თამაშის გამო.

კომისიამ დაამტკიცა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება — მიეცეს ვ. ბარქაიას დისკვალიფიკაცია ერთი თამაშით (ესაა, განვლილი მატჩი ალმა-ატის „კაირატთან“) და გამოეცხადოს საყვედური. გარდა ამისა, ვ. ბარქაიას მიეცა წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია. ანალოგიური საქციელის განმეორების შემთხვევაში, ფეხბურთელი ვერ ითამაშებს 1964 წლის სეზონში.

დუგლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ „ა“ კლასს მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის დუბლიორთა გუნდები: „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე).

მატჩი დამთავრდა ზაპოროჟელთა გამარჯვებით — 2:1.

გულშემატკივართა საყურადღებოდ!

დღეს საქართველოს რადიო აწყობს ფეხბურთის მატჩების ტრანსლაციას დონეცკიდან და დონის როსტოვიდან.

როსტოვის არმიელთა გუნდისა და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩის ტრანსლაცია დაიწყება 19 საათსა და 20 წუთზე, ხოლო დონეცკის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოსი“ — 19 საათსა და 45 წუთზე. დრო ადგილობრივია.

„ბ“ კლასი

საკავშირო პირველობა ფეხბურთში

სოხუმი, 16 მაისი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის.

„დინამო“ (სოხუმი) — „ვირაჟი“ (ლენინაკანი)
0 : 0

სოხუმის დინამოელებმა მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე ჩატარებული 3 თამაშის შემდეგ საკუთარ მინდორზე მიიღეს „ბ“ კლასის ერთ-ერთი საუკეთესო, გამოცდილი გუნდი — ლენინაკანის „ვირაჟი“. აღსანიშნავია, რომ განვლილ 3 ტურში სოხუმელებს არ წაუგიათ არც ერთი შეხვედრა (ორი ფრე, ერთი გამარჯვება). კიდევ მეტიც — არ გაუშვიათ თავიანთ კარში არც ერთი ბურთი.

გუშინდელ მატჩშიც სოხუმელთა ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ, აი გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა, ანგარიში კი ტაბლოზე 0:0-ს უჩვენებდა.

ბათუმი, 16 მაისი. 4 ქულა 6 შესაძლებლიდან. ასეთი მაჩვენებლით დაამთავრეს დინამოელებმა პირველი გამოსვლები კავმინვოდის, მაიკოპისა და ნოვოროსიისკის სტადიონებზე, რის შემდეგ საკუთარ გულშემატკივართა წინაშე წარსდგნენ მატჩში კაფანის „ლერნაგორცთან“.

„დინამო“ (ბათუმი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი)
1 : 0

თამაში ბათუმელებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს და უკვე მე-2 წუთზე სტუმართა კართან სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ კაფანელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და თავიანთი კარი აშკარა გოლისაგან გადაარჩინეს.

22-ე წუთზე კომბინაცია ფუტკარაძე—რამიშვილი—ყურშუბაძე გოლით დაგვირგვინდა.

1:0 — ბათუმელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო საინტერესო გახდა. ბათუმელთა ტერიტორიული უპირატესობა თვალსაჩინო იყო, მაგრამ მათ რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

მატჩი დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით — 1:0.

ო. მურვანიძე

ფოთი, 16 მაისი. 3 ტურის შემდეგ თავიანთ ქალაქს დაუბრუნდნენ ფოთის ფეხბურთელებიც, რომლებიც აქ შეხვდნენ კიროვაკანის გუნდს — „ლორის“.

„კოლხიდა“ (ფოთი) — „ლორი“ (კიროვაკანი)
3 : 2

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და 87-ე წუთამდე ანგარიში 2:2 იყო. ყველას ეგონა, რომ მატჩი ასე დამთავრდებოდა, მაგრამ სულ სხვაგვარად „ფიქრობდა“ ფოთელი თავდამსხმელი ვერბიცკი. მან გადამწყვეტი ბურთი მოათავსა სტუმართა კარში და თავის გუნდს 2 ქულა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ეს ფოთელ ფეხბურთელთა პირველი გამარჯვებაა მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში.

ა. ლომაია



პირველი ათეული ულისტინოდ

ამას წინათ კრივის საერთაშორისო ფედერაციამ („უორლდ ბოქსინგ ფედერაციონ") გამოაცხადა მსოფლიო ჩემპიონებისა და პრეტენდენტების სია პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ამ სიაში ზოგი რამ მოულოდნელი აღმოჩნდა.

მძიმე წონაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონია კასიუს კლეი, პირველ პრეტენდენტად მიჩნეულია დუგ ჯონსი, მეორე პრეტენდენტად — ედი მაჩენი, ხოლო მესამედ—ერნი ტერელი (ყველანი — ამერიკის შეერთებული შტატებიდან). სიაში მეექვსე ადგილზეა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ფლოიდ პატერსონი, მერვეზე — ინგლისის ჩემპიონი ჰენრი კუპერი. საყურადღებოა, რომ სიაში საერთოდ არ არის ხეხსენებული ბრიტანელი ჯეკ ბეტერი.

საშუალო წონის უძლიერეს მოკრივეთა სიაში (ამ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი ამას წინათ გახდა ჯო ჯიარდელო — იტალიური წარმოშობის ამერიკელი), „გამოტოვებულია" ექს-ჩემპიონი ფულმერი.

აი, როგორია პრეტენდენტების სია: 1. რუბინ კარტერი, 2. ჯო არჩერი (ორივე — ამერიკის შეერთებული შტატებიდან), 3. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დიკ ტიგერი (ნიგერია), 4. ევროპის ჩემპიონი ლასლო პაპი (უნგრეთი).



მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში როსტომ აბაშიძე რიტმში მიყვება ცხოვრებას. სწორედ ამიტომ არის, რომ სახელმოხვეჭილ სპორტსმენს ხშირად შეხვდებით ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა უბანზე.

როსტომ აბაშიძე უმაღლესი კლასის სპორტსმენია და ეს სპორტის ყველა მოყვარულმა მშვენივრად იცის. მაგრამ იგი ამავე დროს, კეთილსინდისიერი მეცნიერ-მუშაკია და მზრუნველი მშობელი. ეს კი ბევრისთვის შეიძლება არც კი იყოს ცნობილი. ახალი ამბების სააგენტოს ფოტოკორესპონდენტი ი. სომოვი თავის ფოტონარკვევში გვაცნობს როსტომ აბაშიძის ცხოვრების სწორედ ამ მეორე მხარეს.

მარცხენა ზედა სურათზე აღბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მასალების ინსტიტუტის ასპირანტი როსტომ აბაშიძე დისერტაციაზე („რკინა-ბეტონის კონსტრუქციები") მუშაობის დროს.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ რ. აბაშიძესა და დ. გვანცელაძეს ლისის ტბაზე თევზაობისას.

რ. აბაშიძე ტყუპების მამაა და როგორც მზრუნველ მშობელს ჩვევია, მუდამ თავად გაუვლის ხოლმე შვილებს საბავშვო ბაღში და ისინი შინ მიჰყავს (ქვედა სურათზე).

ᲓᲘᲓᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ „ᲔᲙᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐᲜ"

(დასასრული)

მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრებიდან აღსანიშნავია ავრეთვე მისი გამარჯვება საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან მ. რანიკუსთან, რომელსაც ტურნირში ჯერჯერობით არაფრით უსახელებია თავი. მან სამივე ქულა პირველთანრიგოსნებთან ბრძოლაში მოიპოვა. ორჯერ შეხვდა ოსტატს და ორივე პარტია წააგო.

იუგოსლაველ ნედელკოვიჩს, როგორც ჩანს ,არა აქვს პრეტენზიები პირველ ადგილზე. იგი ყველა პარტიას მტკიცე პოზიციურ სტილში თამაშობს და ყაიმითაც კმაყოფილდება.

ნ. ალექსანდრია და გ. ბუცხრიკიძე პირველად მოხვდნენ ასეთ ძლიერ ტურნირში. ხუმრობა ხომ არ არის, მეტოქეობა გაუწიო იმათ, ვინც მსოფლიო ჩემპიონის სახელს „უმიზნებს". მაგრამ დიდი ტიტულები არ აშინებთ ჩვენს მოჭადრაკეებს. ალექსანდრიამ შეძლო ყაიმის მიღწევა მსოფლიო ჩემპიონთან, ბუცხრიკიძემ კი სახელმოხვეჭილ ე. კარაკაშთან. ყოველი პარტია ნიჭიერი გოგონებისთვის ჭეშმარიტი სკოლაა. მართალია, ჯერ მათ ერთი პარტიაც არ მოუგიათ, მაგრამ ტურნირის მეორე ნახევარში, რომელიც დღეს VI ტურით იწყება, ისინი გამოიყენებენ უკვე მიღებულ გამოცდილებას და იმედია, გაახარებენ თავიანთ გულშემატკივრებს.

შვიდი ქვეყნის 12 მოჭადრაკის სატურნირო ბრძოლა გრძელდება.

თ. გიორგაძე

6:1, 6:3

ალჟირი. აქ დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ანა დმიტრიევა. მისი შეხვედრა ალჟირის უძლიერეს ჩოგბურთელთან მ. სანენთან სულ 45 წუთი გაგრძელდა. დმიტრიევამ გამარჯვება მოიპოვა (6:1, 6:3) და ნახევარფინალში გავიდა.

ლ. პაპის უახლოესი მატჩი

როგორც კოპენჰაგენში გამოცხადდა, აქ 11 ივნისს გაიმართება მატჩი ევროპის ჩემპიონის წოდებაზე საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეებს შორის. ერთმანეთს შეხვდებიან ამ წოდების მფლობელი ლ. პაპი (უნგრეთი) და დანიის ჩემპიონი კრისტენსენი.

მიმდინარეობს მოლაპარაკება პაპსა და საშუალო წონაში ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ჯიარდელოს (აშშ) შორის შეხვედრის მოწყობის თაობაზე. ჯიარდელო არაა წინააღმდეგი შეხვდეს პაპს, მაგრამ მოითხოვს მატჩს ჰქონდეს ამხანაგური ხასიათი.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ

ფინეთის პრესა ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა კალათბურთელების პირველ გამარჯვებას (86:79). აი, რას წერს ჰელსინკის „ერთ-ერთი სალამოს გაზეთი: „საბჭოთა ნაკრებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მატჩის შედეგი მას ალბათ არ აკმაყოფილებს. საბჭოთა კალათბურთელები, რა თქმა უნდა, მასპინძლებზე ძლიერები არიან, მაგრამ ფინეთის გუნდს არადროს არ უთამაშია ასე კარგად".

მეორე ფინური გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი" წერს: „გასული მატჩი იყო საუკეთესო შეხვედრა, რომლის მსგავსი ჩვენს ქალაქში არ გვინახავს".

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ი. ოზეროვმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „ფინელები ძალზე კარგად გამოვიდნენ. მათგან ასეთ თამაშსა და ამგვარ წინააღმდეგობას არ მოველოდით. ვფიქრობ, გუნდი კარგად არის მომზადებული".

კიდევ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფინელ მაყურებლებზე ამავე გუნდების მეორე მატჩმა, რომელიც კვლავ საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა (90:77). ფინურმა პრესამ ფართო ადგილი დაუთმო ამ შეხვედრასაც და ერთსულოვნად აღნიშნა ჩვენი სპორტსმენების მაღალი კლასი. იგივე „ჰელსინგინ სანომატმა" ხატოვნად უწოდა საბჭოთა ნაკრებს „ოქროს გუნდი".

გუნდის ლიდერია ᲔᲣᲡᲔᲑᲘᲝ

პორტუგალიის ნაკრები შეუდგა მზადებას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრებისთვის. ამ დღეებში გამოცხადდა გუნდის შემადგენლობა: მეკარეები — პერეირა, ამერიკო, კარვალიო; მცველები და ნახევარმცველები — კვეიმი, კრუზი, კოლუნა, ფესტა, პაულა, გომესი, ჰილარიო, მენდესი, კარლოსი, ჟოაო; თავდამსხმელები — აუგუსტო, იაუკა, სიმოესი, ეუსებიო, ტორესი, პინტო, ერნანი, გრაცია და მანუელი. გუნდის ლიდერია საუცხოო ფორმაში მყოფი მოზამბიკელი ზანგი ეუსებიო, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელად ითვლება.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲩᲝ�გᲑᲣᲠᲗᲨᲘ

სიდნეიში გამოცხადდა ავსტრალიელ ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა უახლოესი საერთაშორისო შეჯიბრებების წინ.

ვაუები: 1. ემერსონი, 2. სტოლი, 3. მილიგანი, 4. ნიუკომბი, 5. ფლეტჩერი, 6. ჰეკეტი, 7. ფრეზერი, 8. როჯესი, 9. დავიდსონი, 10. მური.

ქალები: 1. სმიტი, 2. ტურნერი, 3. ლეინი, 4. ებერნი, 5. ტეგერტი, 6. შახტი, 7. დენინგი, 8. შერიფი, 9. გიბსონი, 10. მელვილი.

10 ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ინგლისურმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" გამოაქვეყნა ფეხბურთში მსოფლიოს 10 უძლიერესი საკლუბო გუნდის სია:

1. „სანტოსი" (ბრაზილია), 2. „ბენფიკა" (პორტუგალია), 3. „ინტერნაციონალე" (იტალია), 4. „მილანი" (იტალია), 5. „რივერ პლატა" (არგენტინა), 6. „რეალი" (ესპანეთი), 7. „ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა), 8. „ბოტაფოგო" (ბრაზილია), 9. „პენაროლი" (ურუგვაი), 10. „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

21, 22, 23, 24 მაისი



კრივი

სსრ კავშირის პირადი პირველობის შერჩევითი შეჯიბრება

დასაწყისი 18 საათზე.

მეორე წრის მიჯნაზე

დევისის თასის გათამაშება ევროპის ზონაში უკვე კარგა ხანია დაიწყო და ახლა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა არაოფიციალური ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებიდან მხოლოდ ნახევარი შემორჩა. პირველ წრეში, როგორც ცნობილია, საბჭოთა ჩოგბურთელთა ნაკრები კასაბლანკაში შეხვდა მაროკოელ სპორტსმენებს და გაიმარჯვა (4:1).

მეორე წრეში ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები გუშინ დიუსელდორფში შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან ტალინელი თ. ლეიუსი, თბილისელი ა. მეტრეველი, ბაქოელი ს. ლიხაჩოვი და მოსკოველი ვ. ეგოროვი.

ჩვენი გუნდის მეტოქეები კუნკე, ბუნგერტი, ეკლებე და ბუდინგი საერთაშორისო კლასის ჩოგბურთელები არიან. ლეიუსმა წააგო ბუნგერტთან, ხოლო მეტრეველმა — კუნკესთან.

მატჩის ფორმულა ასეთია: პირველ დღეს ტარდება ერთეულთა ორი შეხვედრა. მეორე დღეს ძალებს ცდიან წყვილები, ხოლო მესამე დღეს კვლავ ერთეულთა ბრძოლა გაიმართება. მოგების შემთხვევაში საბჭოთა სპორტსმენებს მესამე წრეში (ე. ი. ნახევარფინალში) შეხვედრის ჩატარება მოუხდებათ დანია—ესპანეთის მატჩში გამარჯვებულთან.

ქვემოთ მოგვყავს I წრეში ჩატარებული ზოგიერთი მატჩების შედეგები ოლიმპიური სისტემის ცხრილის თანმიმდევრობით: ინგლისი—ავსტრია 5:0, ირლანდია — შვეიცარია 3:2, იუგოსლავია — ლუქსემბურგი 5:0, ნორვეგია — პორტუგალია 4:1, საფრანგეთი — ბულგარეთი 5:0, ჰოლანდია — უნგრეთი 3:2, დანია — ფინეთი 5:0, ესპანეთი — ბრაზილია 4:1, სამხრეთ როდეზია—ისრაელი 4:1, იტალია—არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა 4:1, შვეიცია — საბერძნეთი — 5:0.

აზიის ზონაში უკვე დამთავრდა გათამაშება და გაირკვა დევისის თასის ორი ფინალისტი ამ მატერიკიდან. ესენია ფილიპინების და ინდოეთის ნაკრები გუნდები. ფილიპინელებმა ფინალურ ჯგუფში ფამაშის უფლება მოიპოვეს იაპონიისა (5:0) და ინდოეთის (3:2) ნაკრები გუნდების დამარცხებით, როგორც წესი, ამ უკანასკნელ წლებში აზიის ზონაში იმარჯვებდნენ ინდოელები. ამჯერად მათ დათმეს პოზიციები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 08214